საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა სეხნიაშვილი - კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: შპს ,,მ. ---''

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: შპს ,,მ. ---''-ის დირექტორი თ. კ.; ბ. ბ. /სიითი #/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.02.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 024/19

საჩივარი შემოტანილია ადვოკატ პ. გ.-ის /სიითი #/ მიმართ

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ პ. გ.-ის მიმართ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2012 წლის 22 თებერვალს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა შპს ,,მ. ---''-ის დირექტორმა თ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ პ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2019 წლის 28 ნოემბერს და 04 დეკემბერს განხილვის კოლეგიის სხდომებზე გამოცხადდა საჩივრის ავტორის წარმომადგენელი ბ. ბ..

1.2 2018 წლის 09 ნოემბერს შპს ,,მ. ---''-სა და შპს „ს. ა. კ.-ს" (100%-იანი წილის მფლობელი - ადვოკატი პ. გ.) შორის დაიდო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება. საადვოკატო მომსახურების საგანი იყო შპს „მ. ---"-ის ინტერესების წარმოდგენა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების

სამსახურის წინააღმდეგ მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაში, რაც ეხებოდა საწარმოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხის საგადასახადო ვალდებულებაში ჩათვლის ან/და მისი კომპანიისთვის დაბრუნების მოთხოვნას.

1.3 2018 წლის 27 დეკემბერს შპს „ს. ა. კ.-მ“, როგორც შპს ,,მ. ---’’-ის 30%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის - ნ. მ.-ის წარმომადგენელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ჯ. გ.-ის (შპს ,,მ. ---’’-ის 70%-იანი წილის მფლობელის) წინააღმდეგ. დავის საგანს წარმოადგენდა პარტნიორებს შორის ფინანსური ვალდებულებების შესრულება - არ შესრულების საკითხი, ასევე წილების გადანაწილება, შპს-ს კრების ოქმის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება.

1.4 შპს ,,მ. ---’’-ის დირექტორის განმარტებით, როგორც მისთვის არის ცნობილი, საზოგადოების 70% წილის მფლობელ პარტნიორს გააჩნდა პრეტენზია ნ. მ.-ის მიმართ, იმ საფუძვლით, რომ ამ პარტნიორის მიერ შეგნებულად არ მოხდა პარტნიორისთვის საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციის გადაცემა, აგრეთვე, ის გარემოება, რომ მან არ შეასრულა პირობა მისთვის პარტნიორის მიერ გადაცემული თანხიდან საზოგადოების ვალების გასტუმრების შესახებ. შედეგად, დღის წესრიგში დადგა ნ. მ.-ის საზოგადოებიდან გარიცხვის საკითხი, რამდენადაც მისი მოქმედებები სავარაუდოდ, საზოგადოებისათვის იყო საზიანო.

1.5 ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, რაც ეხება პარტნიორებს შორის ურთიერთობას, ინფორმირებული იყო ადვოკატი პ. გ., რომელსაც საზოგადოების 70%-ის წილის მფლობელმა პარტნიორმა ჯ. გ.-მა სთხოვა, რომ არ ჩარეულიყო ამ საკითხში უარყოფითად. მიუხედავად ამისა, ადვოკატი პ. გ. აწარმოებდა საზოგადოების სახელით კონკრეტულ ადმინისტრაციულ დავას და ამავდროულად, მისი საადვოკატო ბიურო ჩაერთო კონკრეტულ სამოქალაქო დავაში, სადაც ამავე საზოგადოების ერთი პარტნიორი ქონებრივ პრეტენზიებს უყენებს საზოგადოების მეორე პარტნიორს. კერძოდ, ადვოკატ პ. გ.-ის ბიუროს თანამშრომლებმა - მ. ა.-მა და ქ. ჭ.-მ, როგორც შპს ,,მ. ---’’-ის პარტნიორის ნ. მ.-ის წარმომადგენლებმა მიმართეს სასამართლოს სარჩელით ამავე შპს-ს მიერ პარტნიორის ჯ. გ.-ის წინააღმდეგ.

1.6 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის ადვოკატ ბ. ბ.-ის განმარტებით, ზემოაღნიშნულ საქმეზე, ნ. მ.-ის ინტერესების სასარგებლოდ შემდგომში არამხოლოდ საადვოკატო კომპანიის იურისტები, არამედ უშუალოდ ადვოკატი პ. გ.-ც ახორციელებდა სასამართლო წარმომადგენლობას, რაც დასტურდება სამოქალაქო საქმეზე N--- ჩატარებული სხდომის ოქმებით (13.05.2019; 27.05.2019; 08.08.2019; 16.09.2019).

1.7 წარმომადგენლის ადვოკატ ბ. ბ.-ის განცხადებით, დავა, რომელშიც ადვოკატი პ. გ. იყო ჩართული წარმოადგენდა არა ფიზიკურ პირებს შორის დავას, არამედ ეხებოდა შპს ,,მ. ---’’-ის ინტერესებს. ნ. მ.-ის სხვა სასარჩელო მოთხოვნებთან ერთად ორი სასარჩელო მოთხოვნა მიმართული იყო შპს-ს წინააღმდეგ, კერძოდ, მოთხოვნილი იყო შპს „მ. ---“-ის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა და განაცდურის ანაზღაურება.

1.8 წარმომადგენლის ადვოკატ ბ. ბ.-ის განმარტებით, 2019 წლის 11 სექტემბერს ნ. მ.-მა, როგორც მოსარჩელემ უარი თქვა ზემოაღნიშნულ ორ სასარჩელო მოთხოვნაზე შპს-ს წინააღმდეგ.

1.9 წარმომადგენლის ადვოკატ ბ. ბ.-ის განცხადებით, ის ვერ გაიზიარებს ადვოკატ პ. გ.-ის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სასარჩელო მოთხოვნებზე უარის თქმის საფუძვლად სასამართლოში მოსარჩელე ნ. მ.-ის მიერ დასახელდა ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც აღნიშნული არ დასტურდება საქმის მასალებით.

1.10 შპს ,,მ. ---''-ის დირექტორის განმარტებით, ვინაიდან, ადვოკატ პ. გ.-ის, როგორც ადვოკატის მოქმედება ატარებდა ინტერესთა კონფლიქტის ნიშნებს, ზემოთხსენებული საფუძვლიდან გამომდინარე, 2019 წლის იანვრის თვეში შპს ,,მ. ---''-ის დირექტორის მიერ წერილობითი შეტყობინება გაეგზავნა ადვოკატ პ. გ.-ს და ეცნობა, რომ საზოგადოების სახელით მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაში, მისი წარმომადგენლობა უნდა შეწყვეტილიყო. 2019 წლის თებერვლის თვეში ადვოკატმა პ. გ.-მ შეწყვიტა შპს-ს წარმომადგენლობა.

1.11 საჩივრის ავტორი არ ეთანხმება ადვოკატ პ. გ.-ის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სამოქალაქო დავაში ჩართულობა და ასევე, შპს ,,მ. ---''-ის სახელით ადმინისტრაციული დავის წარმოება არ წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას. საჩივრის მიხედვით, ერთი მხრივ ბიურო აწარმოებდა ადმინისტრაციულ დავას მთელი საზოგადოების სახელით და ამ დავის ფარგლებში აუცილებელი იყო მხარესთან კომუნიკაცია, პოზიციების შეთანხმება, მტკიცებულებების განხილვა, საქმის წარმოების სტრატეგიის განსაზღვრა და ამ მიზნით, საჭირო კონტაქტი საზოგადოებასთან, დირექტორთან, პარტნიორებთან, ამავდროულად, იგივე პირი ორ პარტნიორს შორის სამოქალაქო დავაში საადვოკატო მომსახურებას უწევდა ერთ-ერთ პარტნიორს საწარმოს მეორე პარტნიორის წინააღმდეგ.

1.12 2019 წლის 24 სექტემბერს შპს „მ. ---"-ის პარტნიორებს - ნ. მ.-სა და ჯ. გ.-ს შორის თბილისის საქალაქო სასამართლოში დავა დასრულდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატი პ. გ. 2019 წლის 28 ნოემბერს და 04 დეკემბერს გამოცხადდა განხილვის კოლეგიის სხდომებზე.

2.2 ადვოკატი პ. გ. 2012 წლის მაისის თვიდან წარმოადგენდა შპს ,,მ. ---''-ის ინტერესებს, რომლის დამფუძნებლები და დირექტორები იყვნენ ო. მ. მისი ოჯახის წევრები, მათ შორის ნ. მ..

2.3 ადვოკატი კომპანიის ინტერესებს წარმოადგენდა შემოსავლების სამსახურსა და ფინანსთა სამინისტროს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობისას, აგრეთვე, სასამართლოში არსებულ ადმინისტრაციულ დავებში, რაც ეხებოდა საგადასახადო მოთხოვნა N---ის ბათილობის საკითხს. ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან, 2012 წლიდან მოცემულ კომპანიას ხელმძღვანელობდა ნ. მ. და მისი ოჯახის წევრები ადვოკატი მათ ინტერესებს, მათ შორის ნ. მ.-ის, როგორც ფიზიკური პირის ინტერესებს და აგრეთვე მთლიანად კომპანიის ინტერესებს წარმოადგენდა და უწევდა მათ საადვოკატო მომსახურებას. შემდგომში, კომპანიას შეექმნა ფინანსური პრობლემები და ნ. მ.-ის მფლობელობაში არსებული როგორც 100 პროცენტიანი წილიდან 70 პროცენტიანი წილი შეიძინა ჯ. გ.-მა.

2.4 კომპანიის მიმართ შემოსავლების სამსახურის მიერ ძირი თანხა, ჯარიმა და საურავის სახით 536 304.48 ლარის დაკისრების მოთხოვნა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, 29 000 ლარს მიღმა კანონშეუსაბამოდ იქნა ცნობილი და 2018 წელს ხელახალი გადაანგარიშებით

ახალი საგადასახადო მოთხოვნით დაკისრებულ 29 000 ლარზე ადმინისტრაციული გარიგებით სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი საგადასახადო დავალება N---ით მოთხოვნილი 536304.48 ლარის გადახდა სრულად იქნა განულებული.

2.5 2014 წლის 05 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში წარმოებაში იქნა მიღებული ადმინისტრაციული სარჩელი 2012 წლის 03 მარტს ზედმეტად გადახდილი თანხების სამომავლო გადახდებში ჩათვლის მოთხოვნით, რომელი საქმის წარმოებაც შეჩერდა და განახლდა სასამართლოს გადაწყვეტილებით.

2.6 საქმის წარმოების განახლების შემდგომ, დანიშნულ მოსამზადებელ სხდომაზე, ვინაიდან, საჯარო რეესტრის ახალი ამონაწერით შეიცვალა კომპანიის დირექტორი, სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის, ამასთანავე, მინდობილობა არ შეცვლილა და მათ მიერ არ განხორციელებულა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ო. მ.-ის მიერ საზოგადოების ანგარიშზე შეტანილი და ზედმეტად გადარიცხული თანხების შპს ,,მ. ---''-ის საგადასახადო ბარათზე აღრიცხვისა და სამომავლო საგადასახადო ანგარიშსწორებებში ჩათვლის მოთხოვნა, ან/და არ განხორციელებულა სასამართლოში რაიმე სახის საპროცესო მოქმედება.

2.7 შპს ,,მ. ---''-ის სარჩელის საფუძველზე სასამართლოს განხილვაში არსებულ ადმინისტრაციულ დავას, რომლითაც მოთხოვნილია თანხის დაბრუნება, რაც არსებითად გაუმჯობესებს შპს ,,მ. ---'' -ის ფინანსურ მდგომარეობას, არანაირი შემხებლობა ან/და კავშირი არ აქვს და არც შეიძლება, რომ ჰქონდეს ფიზიკურ პირთა საქმესთან. კერძოდ, დავა ეხება საწარმოში წილის გამყიდველი ნ. მ.-ის სამოქალაქო დავას ფიზიკური პირების საწარმოში წილების შემძენების: ჯ. გ.-სა და ს. მ.-ის მიმართ, წილნასყიდობის ხელშეკრულებით შეთანხმებული წილის საფასურის გადახდას, ერთ შემთხვევაში, არაჯეროვნად და მეორე შემთხვევაში, ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას.

2.8 პ. გ.-ის განმარტებით, შპს ,,მ. ---''-ის სასამართლო ადმინისტრაციული დავები და ფიზიკურ პირებს შორის არსებული ხელშეკრულების შეუსრულებლობით წარმოქმნილი დავა არ არის, არც ერთი და იგივე და არც ერთმანეთთან დაკავშირებული საქმეები, შესაბამისად, გამორიცხულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობა.

2.9 იურიდიული თუ ფიზიკური პირის იურიდიული ინტერესი ყოველთვის განისაზღვრება მოთხოვნითა და საქმეზე სამომავლო და შესაძლებელი შედეგით. შპს ,,მ. ---''- ის იურიდიული ინტერესი იყო ფიზიკური პირის ნ. მ.-ის ვაჟის ო. მ.-ის მიერ შპს ,,მ. ---''-ის ანგარიშზე შეტანილი და შემდეგ სამომავლო საგადასახადო მოთხოვნების დასაფარავად სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილი თანხის 141 000 ლარისა და სასამართლოს მიერ ბათილად ცნობილი ბრძანებით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხული სხვა თანხის დაბრუნება და სამომავლო საგადასახადო ვალდებულებების ჩათვლებზე მიქცევა.

2.10 პ. გ.-ის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ, იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს ნ. მ.-ის წარმომადგენლობა, ინტერესთა კონფლიქტად არის მიჩნეული, მხოლოდ იმის გამო, რომ ამის სურვილი აქვს საწარმოში 70% -ის მფლობელ ჯ. გ.-ს და იგნორირებას უკეთებს საწარმოში 30%-ის მფლობელ ნ. მ.-ს. საჩივრის ავტორი ვერცერთი მტკიცებულებით ვერ ადასტურებს „ინტერესთა შეუთავსებლობას“. წარმოდგენილი ფაქტებით ცალსახად დგინდება, რომ შემოტანილი საჩივარი ემსახურება მხოლოდ საწარმოში 70% წილის მფლობელისა და სამოქალაქო დავაში მოპასუხე მხარედ ჩართული ფიზიკური პირის ინტერესს, რომელიც ცდილობს კანონის გვერდის ავლით

ხელში ჩაიგდოს ფიზიკური პირის ნ. მ.-ის 30%-იანი წილიც. რისი მცდელობაც განხორციელდა კიდეც ჯ. გ.-ის მხრიდან სასამართლოს მიერ დაწესებული 70% წილიდან 28% განკარგვის აკრძალვის იგნორირებით

2.11 შპს ,,მ. ---''-ის დირექტორი არ არის საზოგადოების ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული, არამედ იგი ასრულებს დაკვეთას, რაც დგინდება იმით, რომ იგი ეთიკის კომისიას უმალავს იმ ფაქტს, რომ მისი უშუალო მონაწილეობით იქნა შეტანილი ის კრების ოქმი, რომლითაც განხორციელდა ნ. მ.-ის საზოგადოებიდან გარიცხვისა და საწარმოში წილის 30%-ის მითვისების მცდელობა.

2.12 ადვოკატის განმარტებით, ზემოაღნიშნულ დავაში ნ. მ.-ის მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნები მიმართული იყო შპს „მ. ---"-ის მიმართ, რაც ეხებოდა პარტნიორთა კრების ბათილად ცნობას და სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას, თუმცა ნ. მ.-მა თავისი ინიციატივით უარი თქვა აღნიშნულ მოთხოვნებზე შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამო. შესაბამისად, მართალია, შპს იყო აღნიშნული მოთხოვნების მოპასუხე მხარე, თუმცა ის არ ჩართულა უშუალოდ ამ დავაში, რადგან მის მიმართ სასარჩელო მოთხოვნები აღარ არსებობდა.

2.13 ადვოკატის განცხადებით, ინტერესთა კონფლიქტის არსებობისთვის რაიმე დამდგარი შედეგი უნდა იყოს სახეზე - მიყენებული ზიანი. ამ შემთხვევაში, რაიმე ზიანი არ დამდგარა, ამასთან ადვოკატის განმარტებით, მისთვის მნიშვნელოვანია კლიენტისადმი ერთგულება, მით უფრო, რომ ის დიდი ხნის მანძილზე ახორციელებდა კომპანიის, მათ შორის მისი პარტნიორების წარმომადგენლობას და აძლევდა მათ იურიდიულ რჩევებს.

2.14 ადვოკატის განცხადებით, მას არ გაუწევია იურიდიული მომსახურება ახალი პარტნიორისთვის - ჯ. გ.-ისთვის არცერთხელ და მხოლოდ რამდენჯერმე შეხვდა, როდესაც ნ. მ.-სა და მის შორის მორიგება უნდა შემდგარიყო, თუმცა ვერ შედგა, რის შემდგომაც დაიწყო სასამართლო დავა მათ შორის.

2.15 ადვოკატის განმარტებით, მას არ შეუწყვიტავს კომპანიის წარმომადგენლობა მას შემდეგ, რაც შპს-ს ახალი დირექტორი დაინიშნა და ნ. მ.-ის ოჯახის წევრები აღარ წარმოადგენენ მმართველ პარტნიორებს, რადგანაც მას არ მიაჩნდა, რომ სასამართლო დავის დროს ინტერესთა კონფლიქტის რომელიმე შემთხვევა იყო სახეზე.

2.16 ადვოკატის განმარტებით, სასამართლო დავის ფარგლებში ნ. მ.-ს, როგორც შპს-ს პარტნიორს შეზღუდული ჰქონდა კომპანიის რომელიმე დოკუმენტზე წვდომაც კი და საქმის განხილვის დროს, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლეს შპს ,,მ. ---''-ისგან კონკრეტული საბუღალტრო დოკუმენტების გამოთხოვა. შესაბამისად, ისეთი სახის შპს-სთან დაკავშირებული ინფორმაცია, რაც ხელმისაწვდომი იქნებოდა ნ. მ.-ისთვის და შპს-ს დააზარალებდა - არ არსებობდა. ადვოკატის განცხადებით, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ინტერესთა კონფლიქტი სახეზე არ ყოფილა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. საპროცესო კოლეგიამ 2019 წლის 27 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ პ. გ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი პ. გ. წარმოადგენდა შპს ,,მ. ---''-ის ინტერესებს და ამავდროულად, შპს „ს. ა. კ.-მ", რომლის დირექტორიც არის ადვოკატი პ. გ. საადვოკატო მომსახურება გაუწია შპს ,,მ. ---''-ის ერთ-ერთ პარტნიორს ამავე შპს-ს მეორე პარტნიორის წინააღმდეგ დავაში, შესაძლოა, დარღვეულად ჩაითვლილიყო „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 8.1 და პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.2 და 6.5.

3.3. საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, ის გარემოებები, რომ ადვოკატი პ. გ. მომსახურებას უწევდა შპს „მ. ---"-ს და ამავდროულად, მისი ბიურო სავარაუდოდ დაკავშირებულ დავაში წარმოადგენდა ამავე შპს-ს პარტნიორის ინტერესებს მეორე პარტნიორის წინააღმდეგ დავაში, წარმოქმნა კლიენტის ინტერესების დაცვასთან შეუთავსებელი ურთიერთობა და ერთმანეთს დაუპირისპირდა შემდეგი ინტერესები: ადვოკატის კლიენტის კონფიდენციალობის დაცვა და ადვოკატის ბიზნეს ინტერესი - საადვოკატო ბიუროს ინტერესების სასარგებლოდ მოქმედება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

განხილვის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდავოა მხარეთა შორის:

4.1. ადვოკატი პ. გ. არის შპს „ს. ა. კ.-ის" 100 %-იანი წილის მფლობელი და ამავდროულად, დირექტორი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
- *ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;*

4.2. შპს ,,მ. ---''-ის დირექტორი არის თ. კ.; პარტნიორები: ნ. მ. - 30%, ჯ. გ. - 70%

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
- *ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან;*

4.3 ადვოკატი პ. გ. საადვოკატო მომსახურებას უწევდა შპს ,,მ. ---''-ს 2012 წლიდან 2019 წლის თებერვლის თვემდე სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*

4.4 2014 წელს ადვოკატი პ. გ. წარმოადგენდა შპს „მ. ---"-ის, როგორც მოსარჩელის ინტერესებს ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ დავაში, სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *2014 წლის 06 აგვისტოს სარჩელი ადმინისტრაციულ საქმეზე*

4.5 2018 წლის 27 დეკემბერს ნ. მ.-ის, როგორც შპს ,,მ. ---''-ის 30%-იანი წილის მფლობელის სახელით, თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს ,,მ. ---''-ის 70%-იანი წილის მფლობელის - ჯ. გ.-ის წინააღმდეგ მიმართა ადვოკატ პ. გ.-ის „ს. ა. კ.-ის" თანამშრომლებმა - მ. ა.-მა და ქ. ჭ-მ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
- *2018 წლის 27 დეკემბრის სარჩელი სამოქალაქო საქმეზე;*

4.6 შპს „მ. ---"-ის პარტნიორის ნ. მ.-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა: წილის მესაკუთრედ ცნობა, ზიანი ანაზღაურება, შპს „მ. ---"-ის პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
- *2018 წლის 27 დეკემბრის სარჩელი სამოქალაქო საქმეზე;*

4.7 2019 წლის 11 სექტემბერს ნ. მ.-მა უარი განაცხადა იმ სასარჩელო მოთხოვნებზე რომლებიც მიმართული იყო შპს ,,მ. ---''-ის მიმართ: შპს-ს პარტნიორთა ოქმის ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების სასარჩელო მოთხოვნებზე

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
- *ნ. მ.-ის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს*

4.8 ადვოკატი პ. გ. წარმოადგენდა შპს ,,მ. ---''-ის პარტნიორის ნ. მ.-ის ინტერესებს მეორე პარტნიორის - ჯ. გ.-ის წინააღმდეგ სასამართლო დავაში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- *მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები;*
- *სასამართლო სხდომის ოქმები* 13.05.2019; 27.05.2019; 08.08.2019; 16.09.2019 *საქმეზე* N---;

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ პ. გ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1 დგინდება, რომ ადვოკატი პ. გ. წარმოადგენდა შპს ,,მ. ---''-ის ინტერესებს და ამავდროულად, ადვოკატმა პ. გ.-მ და მისმა საადვოკატო ბიურომ საადვოკატო მომსახურება გაუწია შპს „მ. ---"-ის

ერთ-ერთ პარტნიორს ამავე შპს-ს მეორე პარტნიორის და ამავე კომპანიის წინააღმდეგ არსებულ დავაში, რითიც ადვოკატმა დაარღვია შემდეგი ნორმები:

„ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1).

ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.2).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.5).

6.2 ინტერესთა კონფლიქტი შესაძლებელია არსებობდეს რამდენიმე შემთხვევაში: კლიენტებს შორის, კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც დაკავშირებულია ადვოკატის ინტერესები, ადვოკატსა და კლიენტს შორის - პირადი ინტერესთა კონფლიქტი, ყოფილ კლიენტსა და არსებულ კლიენტს შორის.

6.3 კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრის ჭრილში, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საადვოკატო მომსახურების დაწყების ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული პასუხისმგებლობა კლიენტის საქმის მიმართ და ის ვალდებულია შემდგომში პროფესიულ ვალდებულებასთან შეუთავსებელი მოქმედებები არ განახორციელოს.

6.4 ეთიკის კომისიამ ინტერესთა კონფლიქტის დროს არსებული სამი კლიენტიდან ერთ-ერთის წარმომადგენლობის გაგრძელების აკრძალვის თაობაზე განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია ადვოკატმა თავი აარიდოს შემთხვევებს, როდესაც შესაძლოა საფრთხის ქვეშ დადგეს ერთ-ერთის ინტერესი... ადვოკატმა კლიენტის ინტერესების დაცვისას თავი უნდა აარიდოს ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს და კლიენტის წარმომადგენლობა უნდა განახორციელოს იმგვარად, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისათვის შესაბამისი ცოდნის და დროის არსებობის შემთხვევაში. კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი არსებობს, თუ ადვოკატის მიერ ერთ - ერთი კლიენტისათვის მიცემული რჩევა ან განხორციელებული წარმომადგენლობა ზიანს აყენებს სხვა კლიენტის ინტერესებს“. (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინურ საქმეზე 015/10 24.01.2011).

6.5 ეთიკის კომისიამ საქმეთა ურთიერთდაკავშირების მნიშვნელობიდან გამომდინარე, შეაფასა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა: „განსახილველ შემთხვევაში ადვოკატი თავდაპირველად წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და მისთვის ცნობილი იყო მისი პოზიცია, არგუმენტები და მტკიცებულებები. შემდეგში, ადვოკატი წარმოადგენდა სხვა კლიენტს ყოფილი კლიენტის

წინააღმდეგ სამოქალაქო სამართლებრივ დავაში, რომელიც შინაარსობრივად და საგნობრივად ურთიერთდაკავშირებული იყო. ადვოკატის მიერ განხორციელებული წარმომადგენლობა წარმოშობდა ობიექტურ საფრთხეს ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ ადვოკატისათვის მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევის თაობაზე ან რისკის ქვეშ დააყენებდა ადვოკატის მიერ არსებული კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას“ (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 092/10 09.06.2011).

6.6 „ზოგადად, მნიშვნელოვანია, რომ რა სტანდარტიც არ უნდა დადგინდეს მომავალში კომისიის მიერ, საფრთხის კვლევის ვალდებულება აკისრია ადვოკატს. ადვოკატის მხრიდან რამდენიმე კლიენტის მომსახურების განხორციელება ასეთი კვლევის ჩატარების გარეშე, იწვევს უარყოფით შედეგს როგორც ადვოკატისთვის, ასევე მისი კლიენტებისთვის და შესაძლოა, მართლმსაჯულების პროცესისთვის, რადგან ადვოკატი იძულებული ხდება ჩამოშორდეს ყველა კლიენტის წარმომადგენლობას“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 002/20 15.04.2020).

6.7 „მიუხედავად იმისა, შესაძლებელი იქნება, თუ არა საფრთხის გამორიცხვა, თუ ინტერესთა კონფლიქტი შემდგომში წარმოიშვა, ადვოკატი იძულებული იქნება უარი თქვას როგორც პირველი, ასევე შემდგომში შეძენილი კლიენტების ინტერესების დაცვაზე სასამართლო დავაში.... აღნიშნულს შეიძლება ჰქონდეს გავლენა ადვოკატის ჰონორარზე, ასევე არ იყოს თავდაპირველი კლიენტის ინტერესებში.“ (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 009/19 22.11.2019).

6.8 „ზოგ შემთხვევაში, როდესაც კონფლიქტი დაკავშირებულია კონფიდენციალობის ხელყოფასთან ან ნდობის დარღვევასთან, დასაშვებია ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა კლიენტისგან ინფორმირებული თანხმობის მიღების შემდეგ, მაგრამ როდესაც სახეზეა მძაფრად დაპირისპირებული პოზიციები, როგორიც აქვთ სასამართლო პროცესში დაპირისპირებულ მხარეებს, ამ შემთხვევაში, დაუშვებელია ადვოკატის მიერ ინფორმირებული თანხმობის მიღების შემთხვევაშიც კი თავისი ყოფილი კლიენტის საწინააღმდეგო წარმომადგენლობა. (ეთიკის კომისიის წერილობითი რეკომენდაცია 016/18 27.05.19).

6.9 ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრისთვის შესაფასებელია ადვოკატი პ. გ. რა ფარგლებში უწევდა საადვოკატო მომსახურებას ერთი მხრივ შპს „მ. ---“-ს და მეორე მხრივ, ამავე შპს-ს პარტნიორს სასამართლო დავაში.

6.10 დგინდება, რომ პ. გ.-ს, როგორც ადვოკატს შპს ,,მ. ---’’-ისგან 2012 წლიდან 2012 წლიდან 2019 წლის თებერვლის თვემდე მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება ეწარმოებინა კომპანიის საქმეები სამოქალაქო და სისხლის სამართლის მიმართულებით. 2012 წლიდან, როგორც იმ ეტაპისთვის შპს ,,მ. ---’’-ის 100 პროცენტიანი წილის მფლობელი იყო ნ. მ. ოჯახის წევრებთან ერთად, რომლებიც ამავე შპს-ს მმართველები იყვნენ და შესაბამისად, მათ ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი პ. გ.. შემდგომში, ნ. მ.-ის 70 პროცენტიანი წილი შეიძინა ჯ. გ.-მა (იხ. პარ.2.9). შედეგად, საადვოკატო მომსახურების გაწევის ფარგლებში, ადვოკატ პ. გ.-ისთვის 2012 წლიდან ხელმისაწვდომი იყო კლიენტის - შპს ,,მ. ---’’-ის, როგორც კომპანიის შიდა საქმიანი კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის მოცემულ ადმინისტრაციულ საქმეზე წარმომადგენლობის სრულყოფილად განხორციელებისთვის მისთვის ცნობილი იყო კომპანიის პარტნიორთა შესახებ ინფორმაცია.

6.11 აგრეთვე, ადვოკატ პ. გ.-ის ერთ-ერთი წარმომადგენლობა ეხებოდა ,,მ. ---’’-ის საერთო ფინანსური ინტერესების დაცვას, კერძოდ, კომპანიის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხული თანხის

საგადასახადო ვალდებულებებში ჩათვლის და შეცდომით გადახდილი თანხის კომპანიისთვის უკან დაბრუნების მოთხოვნას.

6.12 შესაბამისად, კომპანიის მიერ ადვოკატის წარმომადგენლობა არ იყო შეზღუდული რომელიმე კონკრეტული საქმით და მას შეეძლო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე, მათ შორის ფინანსურ საკითხებზე განეხორციელებინა საადვოკატო მომსახურება შპს-ს, როგორც მისი კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

6.13 შპს ,,მ. ---''-ის მიერ ზემოაღნიშნული მინიჭებული უფლებამოსილების დროს, ადვოკატი ჩაერთო ამავე კომპანიის წინააღმდეგ დავაში პარტნიორის ინტერესების სასარგებლოდ. კერძოდ, მოცემულ სასამართლო დავაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენდა შპს-ს ერთ-ერთი პარტნიორი ნ. მ., რომლის სასარჩელო მოთხოვნები მიმართული იყო ამავე კომპანიის წინააღმდეგ და მეორე პარტნიორის ჯ. გ.-ის მიმართ. შესაბამისად, განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატ პ. გ.-ის პოზიციას იმის თაობაზე, რომ ზემოაღნიშნული სასამართლო დავა არ იყო დაკავშირებული შპს ,,მ. ---''-ის საქმიანობასთან, არამედ დავა ორ ფიზიკურ პირს შორის ურთიერთმოთხოვნებს ეფუძნებოდა.

6.14 პარტნიორებს შორის დავა ეხებოდა შპს „მ. ---"-ის საქმიანობას. ადვოკატი წარმოადგენდა თავის კლიენტს შპს-ს წინააღმდეგ იმ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, რომელიც უშუალოდ მიმართული იყო შპს ,,მ. ---''-ის წინააღმდეგ. კერძოდ, ადვოკატი, როგორც კომპანიის პარტნიორის ნ. მ.-ის სახელით ამავე კომპანიის მიმართ მოითხოვდა შპს-ს პარტნიორთა ოქმის ბათილად ცნობას, სამსახურში აღდგენასა და განაცდურის ანაზღაურებას.

6.15 ადვოკატს უნდა შეეფასებინა ის გარემოება, რომ წარმოადგენდა კომპანიის ინტერესებს და იმავე საქმეზე, რაზეც მას მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, კლიენტის წინააღმდეგ წარმომადგენლობას ვერ განახორციელებდა. ადვოკატის პროფესიული პასუხისმგებლობა უპირატესია და ადვოკატმა არ უნდა დაუშვას საადვოკატო საქმიანობასთან შეუთავსებელი ურთიერთობა. ადვოკატს უნდა გაეთვალისწინებინა ის პროფესიული ვალდებულება, რაც არსებობდა შპს ,,მ. ---''-ის მიმართ.

6.16 ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრისათვის გავლენას არ ახდენდა ის გარემოება, ადვოკატი პ. გ. აპირებდა თუ არა შპს ,,მ. ---''-ისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენებას ამავე შპს-ს პარტნიორის ინტერესების სასარგებლოდ. ის ფაქტი, რომ ადვოკატი პ. გ. მომსახურების უწევდა შპს „მ. ---"-ს და ამავე შპს-ს პარტნიორის ინტერესებს წარმოადგენდა მეორე პარტნიორის წინააღმდეგ დავაში, წარმოქმნა კლიენტის ინტერესების დაცვასთან შეუთავსებელი ურთიერთობა.

6.17 შემდგომ, სასამართლო დავაში კლიენტის ინტერესების წინააღმდეგ ჩართვის ეტაპზეც, ადვოკატმა არ მიიჩნია, რომ ორივე კლიენტის ინტერესების დაცვა შეეწყვიტა. მით უფრო, რომ მას შპს ,,მ. ---''-მა, როგორც მისმა კლიენტმა აცნობა, რომ შპს-ს პარტნიორის წარმომადგენლობით შეიქმნა ინტერესთა კონფლიქტი. შედეგად, შპს-ს ინიციატივით, მათ შორის შეწყდა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა 2019 წლის თებერვლის თვეში, თუმცა ადვოკატმა განაგრძო ზემოაღნიშნულ დავაში წარმომადგენლობა მეორე კლიენტის - შპს-ს პარტნიორის ინტერესების სასარგებლოდ.

6.18 შედეგად, ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი კლიენტის ინტერესი და საფრთხე შეექმნა შპს „მ. ---"-ისგან მიღებულ პროფესიულ საიდუმლოებას, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა მეორე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ ყოფილიყო გამოყენებული.

6.19 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი.

6.20 ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ უნდა იმსჯელოს ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომაზე. ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებულ ზიანი, კლიენტისათვის მიყენებულ ზიანი, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები.

6.21 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს-შ/3-15 განმარტა, რომ: ,,დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.”

6.22 მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს და აქედან გამომდინარე, არსებულ ზიანს, მათ შორის ადვოკატის დამოკიდებულებას დარღვეული ქმედების მიმართ. ის გარემოება, რომ კომპანიის პარტნიორმა შემდგომში უარი განაცხადა იმ სასარჩელო მოთხოვნებზე რაც მიმართული იყო შპს-ს წინააღმდეგ, არ წარმოადგენს ადვოკატის ქმედების დარღვევის დადგენისათვის შემამსუბუქებელ გარემოებას, როგორც ამას ადვოკატი განმარტავს.

6.23 ინტერესთა კონფლიქტმა შექმნა კონფიდენციალური ინფორმაციის ხელყოფის საფრთხეც. აღნიშნული გარემოებები საკმარის საფუძველს ქმნიდა იმისათვის, რომ ადვოკატს შეეწყვიტა ორივე კლიენტის ინტერესების წარმოდგენა შპს-ს საქმიანობიდან და მისი პარტნიორებიდან გამომდინარე დავის ფარგლებში. ადვოკატი პ. გ.-ის პოზიციიდან ირკვევა, რომ ის უპირატესობას ანიჭებდა მეორე კლიენტისადმი - კომპანიის პარტნიორისადმი ერთგულებას და შესაბამისად, ის ვერ შეწყვეტდა მის წარმომადგენლობას. მოცემულ შემთხვევაში, კოლეგია აღნიშნავს, რომ ადვოკატისთვის უპირატესი უნდა იყოს პროფესიული ვალდებულების დაცვა კლიენტების წინაშე, მათ შორის პოტენციური კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევამდე განსაზღვროს ხომ არ არის სახეზე ინტერესთა კონფლიქტის რომელიმე შემთხვევა და თავიდან აირიდოს ასეთი წარმომადგენლობა.

6.24 ადვოკატის ქმედების შეფასებისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადვოკატი პ. გ. მეორე კლიენტის ინტერესებისადმი უპირატესობის მიზეზად უთითებს, რომ შპს-ს პარტნიორები და მმართველები შეიცვალა, ნ. მ. აღარ ფლობდა 100 პროცენტიან წილს და შესაბამისად, ადვოკატისთვის შპს-ს შემდგომი მმართველების და სხვა პარტნიორების საქმიანობა არ იყო მოსაწონი, თუმცა ამ პერიოდშიც პ. გ. კვლავ შპს-ს ადვოკატი იყო და მის მიმართ პროფესიული ვალდებულებები გააჩნდა. შესაბამისად, ადვოკატს აღნიშნული შპს-ს მიმართ პირადი ინტერესთა კონფლიქტიც გააჩნდა, რაც ადვოკატს ავალდებულებდა შეეწყვიტა მისთვის საადვოკატო მომსახურება, თუმცა შპს-სა და ადვოკატს შორის ურთიერთობა შპს-ს ინიციატივით დასრულდა.

6.25 გარდა ადვოკატის დარღვევისადმი შეფასებისა, გასათვალისწინებელია ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავს დარღვევებზე. ეთიკის კომისიამ ერთ-ერთი გადაწყვეტილებით დაადგინა „ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევა კლიენტებისათვის, რომელთაც არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან დაკავშირებულ დავაში. ადვოკატი ვერ შეძლებს პარალელურად ორი კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვას თუ ისინი პროცესუალურ მოწინააღმდეგეებს წარმოადგენენ.“ რისი გათვალისწინებითაც მოცემულ საქმეზე განისაზღვრა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება (ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 079.14; 06.08.2015 წელი; პარ.6.2). აგრევე, იხილეთ მსგავს დარღვევებზე ეთიკის კომისიის პრაქტიკა, კერძოდ ინტერესთა კონფლიქტი დადგენის შემთხვევაში დისციპლინური სახდელი გაფრთხილების გამოყენების თაობაზე (დისციპლინური საქმე 023/17 23.06.2015; დისციპლინური საქმე 027/11 20.08.2011).

6.26 შედეგად, სახდელის განსაზღვრისას კოლეგია ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დასტურდება ადვოკატის კლიენტებს შორის აშკარა ინტერესთა კონფლიქტი და მიუხედავად აღნიშნულისა, ადვოკატმა არ შეწყვიტა ორივე ინტერესების წარმოდგენა და მისი დამოკიდებულებით ქმედება არ წარმოადგენდა ეთიკური ვალდებულების დარღვევას.

6.27 ამასთან, კომისია მოცემულ შემთხვევაში, სახდელის სახით ყველაზე მსუბუქი ფორმის - გაფრთხილების გამოყენებისას ითვალისწინებს დარღვევისას არსებული ზიანის ხარისხს, მათ შორის იმ გარემოებას, რომ არ დგინდება კონკრეტული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება მეორე კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ. ამასთან, კოლეგია ითვალისწინებს, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დროს, ადვოკატს არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი და მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს დისციპლინური სახდელის უფრო მძიმე ფორმის განმსაზღვრელი რომელიმე ფაქტორი და შესაბამისად, ამ პირობებში, კოლეგიას მიაჩნია, რომ დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილების გამოყენება იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის პროპორციული.

6.28 აღნიშნული სახდელის მიზანია ადვოკატმა გააცნობიეროს და შეაფასოს მისი ქმედება და სამომავლოდ გაითვალისწინოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების შემთხვევები, ამასთან, ადვოკატს არ ეზღუდება საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელება.

6.29 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილით, 34-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 35-ე მუხლით, 40-ე მუხლის მეორე ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №024/19 ადვოკატ პ. გ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.

2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ პ. გ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით, დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/